

## მომსახურებით სარგებლობის წესები

1. აბონენტი აღიარებს რომ მისთვის ცნობილია ინტერნეტის ფუნქციონირების პრინციპები, გამოყენების წესები და აცნობიერებს რომ ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი ინტერნეტით გავრცელებულ კონტენტზე.  
მომსახურებით სარგებლობის დროს მან არ უნდა მიაყენოს ზიანი ოპერატორს და მის ინფრასტრუქტურას, არ დაარღვიოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები და არ დაუშვას მისთვის მიწოდებული სერვისის უკანონო მიზნებისთვის გამოყენება მესამე პირების მიერ.
2. ოპერატორი უფლებამოსილია აშშ-ს US-CERT (National Cybersecurity and Communications Integration Center's ) და ევროკავშირის CERT-EU რეკომენდაციების შესაბამისად გაატაროს ნებისმიერი ღონისძიება, სერვისის შეწყვეტის ჩათვლით, რომელიც მიმართული იქნება როგორც საკუთარი აბონენტების და საკუთარი ინფრასტრუქტურის, ასევე ზოგადად ინტერნეტის ნებისმიერი მომხმარებლის უსაფრთხოების დასაცავად.
3. აბონენტის მიერ მესამე პირების მიერ ინტერნეტში ჩართული და ინტერნეტის გამოყენებით მომუშავე მომსახურებებით და აპლიკაციებით სარგებლობისას ოპერატორი არ აგებს პასუხს ასეთი სერვისის ხარისხზე, ამ მესამე პირის კეთილსინდისიერებაზე და ასეთი მომსახურებების ფასებზე.
4. ინტერნეტ-მომსახურებით სარგებლობის დროს აკრძალულია ოპერატორის მიერ მოწოდებული სერვისის მესამე პირებისთვის ნებისმიერი გზით გაზიარება ან გადაყიდვა. აბონენტი პასუხისმგებელია როგორც სადენიან ასევე უსადენო მოწყობილობაზე და გაზიარება/გადაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში ოპერატორი უფლებამოსილია მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მომსახურების დროებით შეჩერების ან შეწყვეტის ჩათვლით. ასევე ოპერატორს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოქმედი ტარიფების შესაბამისად.  
დაუშვებელია აბონენტის მიერ უსადენო (WiFi) მოწყობილობის პაროლის გასაჯაროება ან ღია (უპაროლო) რეჟიმით მუშაობა.
5. თუ ინტერნეტში ჩართული აბონენტის კუთვნილი მოწყობილობა დავირუსებულია, გატეხილია, ან გამოყენებულია მესამე პირების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის, აბონენტი ვალდებულია ჩაატაროს ყველა ქმედებები რაც მოთხოვნილი იქნება ოპერატორის მიერ.
6. ოპერატორი პასუხს არ აგებს დინამიური ან CGN-ის IP მისამართის მქონე აბონენტის მიერ ინტერნეტ-მომსახურების გამოყენებით კლიენტ-სერვერული სისტემის სერვერული ნაწილის ორგანიზების შემთხვევებზე.
7. ოპერატორი ზღუდავს იმ TCP/UDP პორტებზე წვდომას რომლებიც გამოიყენება სპამის გავრცელებისთვის, მოწყობილობებზე არასანქცირებული ავტორიზაციისთვის, ვირუსების და მავნე პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელებისთვის, ან სხვა

ქსელურ მოწყობილობებზე შეტევების ორგანიზებისთვის.

8. მეილსერვერის ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ ფიქსირებული ip მისამართით, ოპერატორთან წინასწარი შეთანხმებით და სპამის გაგზავნის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ოპერატორი უფლებამოსილია აბონენტთან შეუთანხმებლად გათიშოს სერვერი.

9. თუ აბონენტის მიერ მომსახურების არამართლზომიერი გამოყენების გამო ოპერატორს დაეკისრა სანქცია ან ჯარიმა ოპერატორი უფლებას იტოვებს აბონენტს მოსთხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება.

10. აბონენტი პასუხისმგებელია ოპერატორის მიერ გადაცემული აპარატურის მოვლა/გაფრთხილებაში, აპარატურის დაზიანების შემთხვევაში აბონენტს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება.